



**საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA**

ირაკლი ფალავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

16 ივლისი 2025 წ.



№ 25/5635

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან
და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის
გამოთხოვის შესახებ წარდგენილი შუამდგომლობების თაობაზე

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12
მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის
ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.^[1] მათ შორის, აპარატი აქტიურად აკვირდება იმ
გამოწვევებს, რაც საფრთხეს უქმნის უფლებადამცველთა საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემოს
ფორმირებას და მათი მხრიდან გაერთიანების თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობას.

2025 წლის 23 ივნისს, სახალხო დამცველის აპარატს №5632/25 განცხადებით მომართა ა(ა)იპ „სოციალური
სამართლიანობის ცენტრის“ დირექტორმა, თამთა მიქელაძემ და ითხოვა კომპეტენციის ფარგლებში
რეაგირება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 17 ივნისის ბრძანებასთან დაკავშირებით,
რომლითაც დაკმაყოფილდა ანტიკორუფციული ბიუროს 2025 წლის 17 ივნისის შუამდგომლობა
ორგანიზაციიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. გარდა ამისა, მედიით გავრცელებული ინფორმაციის
შესაბამისად, 23 ივნისის მდგომარეობით, საქალაქო სასამართლომ მსგავსი შუამდგომლობები
დააკმაყოფილა კიდევ, სულ მცირე, ექვს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან („სამოქალაქო
საზოგადოების ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საფარი“, „მომავლის
აკადემია“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ და „სამართლიანი არჩევნებისთვის“)
მიმართებით.^[2]

2025 წლის 3 ივლისს სახალხო დამცველის აპარატს, № 5989/25 განცხადებით, ასევე მომართეს ანა
არგანაშვილმა და ქეთევან ბახტაძემ თავიანთი მარნმუნებლის სახელით. ადვოკატების განმარტებით, მათი
დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი არის არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ბენეფიციარი.
ბავშვის მშობელმა არასრულწლოვანისადმი სისტემატური სექსუალური ძალადობის საფუძველზე მიმართა
ორგანიზაციას, რის შემდგომაც მათგან მიიღო სამართლებრივი მხარდაჭერა. არასრულწლოვანისთვის

ცნობილი გახდა მისი პერსონალური ინფორმაციის მესამე პირებისთვის გაზიარების ვალდებულების შესახებ. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ 2025 წლის 13 ივნისს გასცა ბრძანება № 3/4532-25, რომელიც სააპელაციო სასამართლომ 2025 წლის 23 ივნისის № 3ბ/1957/25 გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა და არასამთავრობო ორგანიზაციას „საფარი“ დაევალა თავისი ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა ანტიკორუფციული სააგენტოსთვის, რაზეც ბენეფიციარი არასრულწლოვანი კატეგორიულ უარს აცხადებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატებმა სარჩელის აღძვრამდე დროებითი განჩინების მიღების შესახებ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც არ დაკმაყოფილდა. ადვოკატების განმარტებით, ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფორმაციის გაზიარება საფრთხეს შეუქმნის მის მენტალურ, ფიზიკურ და სხეულებრივ უსაფრთხოებას, რასაც ადასტურებს მხარდამჭერი სპეციალისტების დასკვნები.

თამა მძიქელაძის, ანა არგანაშვილისა და ქეთევან ბახტაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“, „საფართან“ და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობის მსგავსი მოთხოვნების განხილვისას, სასამართლოს მსჯელობა უნევს რამდენიმე უფლებრივ საკითხზე, რომელთა შორისაა გაერთიანების თავისუფლებით დაცულ სფეროში და უფლებადამცველების საქმიანობაში ჩარევის ფარგლები, ბენეფიციართა უფლებები, პირადი ცხოვრების დაცვის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი საქმე, შესაძლოა, მომავალშიც გახდეს სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი, ხოლო აღნიშნული საზედამხედველო მექანიზმების პრაქტიკაში აღსრულება სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სამართლებრივი სისტემისათვის და პრაქტიკის ჩამოყალიბება ამჟამად მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება, სათანადო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება. აღნიშნული ზოგადი სასამართლოს მოსაზრება მიემართება ყველა იმ საქმეს, რომელსაც ფარგლებშიც, სასამართლოს მოუწევს მსგავს ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობა.

ამავე დროს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა სახალხო დამცველს საშუალებას აძლევს, სასამართლოს მიანდოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის პროცესში. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრების მიზანს წარმოადგენს უფლებადამცველთა წინაშე არსებული გამოწვევების, მათი დაცვის გარანტიების, აგრეთვე გაერთიანების თავისუფლებით დაცული სფეროსა და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტების განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რაც სააპელაციო სასამართლოს არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობების სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრება არ ემსახურება რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს რელევანტური ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტების იდენტიფიცირებას.

1. ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მსგავსი საქმეებს მიემართება სასამართლო მეგობრის მოსაზრება

წინამდებარე ქვეთავში განხილულია ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც სახალხო დამცველის აპარატის ინფორმირება თამა მძიქელაძის № 5632/25 განცხადებით მოხდა. რადგან წინამდებარე მომართვას აქვს ზოგადი ხასიათი და არ შეეხება მხოლოდ ერთ, კონკრეტულ შემთხვევას, მსგავსი მონაცემების მითითება იძლევა შესაძლებლობას, გამოიკვეთოს ერთგვაროვანი საქმეთა წრე, რომლებთან დაკავშირებითაც, სახალხო დამცველი ახდენს სააპელაციო სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას:

2025 წლის 17 ივნისს, ანტიკორუფციულმა ბიურომ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება. მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა ორგანიზაციის საქმიანობის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონთან, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონთან, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და საქართველოს კანონთან „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ შესაბამისობისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა;

საგულისხმოა, რომ შუამდგომლობაში, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებულია ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ ან/და მისი ხელმძღვანელის მიერ სხვადასხვა დროს, საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია/განცხადებები:

- „2024 წლის 17 ოქტომბერს, სოციალურ ქსელში (Facebook) ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, სადაც მითითებულია: - „გაეცანით თამა მძიქელაძის ბლოგს - „ქართული ოცნება“ ყველაზე რეგრესული პოლიტიკური დისკურსების რეანიმაციას ახდენს...““;
- „2024 წლის 17 ოქტომბერს, სოციალურ ქსელში (Facebook) ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, სადაც მითითებულია: „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები რუსული კანონის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპს ვინწყებთ...““;
- „2024 წლის 19 ოქტომბერს, სოციალურ ქსელში (Facebook) ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი - „კვირას, 20 ოქტომბერს, საქართველო ირჩევს ევროკავშირს!““;
- „2024 წლის 3 ნოემბერს, ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ დირექტორი - თამა მძიქელაძე იმყოფებოდა ტელეკომპანია ფორმულას, გადაცემა „მრგვალი მაგიდის“ ეთერში, სადაც გააკეთა განცხადება - „...ქართული ოცნების ხელისუფლება არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც დგას ჩვენი

საზოგადოების სისუსტეებზე, მოწყვლადობაზე, ტრავმებზე და მთელ მის პროპაგანდას და მობილიზაციურ ძალას ამენებს ამაზე...“;

- „2024 წლის 12 დეკემბერს, სოციალურ ქსელში (Facebook) ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, სადაც მითითებულია: „სოციალური სამართლიანობის ცენტრი ეხმაურება „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებულ კიდევ ერთ უფლებამძიმდევლ საკანონმდებლო ინიციატივას და მივიჩნევთ, რომ რეორგანიზაციის გამარტივების მიზნით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება შრომით უფლებრივ სტანდარტებს და იგი პოლიტიკური დევნის და საჯარო სამსახურის საკადრო ნმენდის ამკარა მიზანს ემსახურება...“;

- „2025 წლის 31 იანვარს, სოციალურ ქსელში (Facebook) ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი, სადაც მითითებულია: „2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო კანონები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს და აძლიერებს ხელისუფლების კონტროლს საზოგადოებაზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრი გთავაზობთ 2024 წელს მიღებული ოთხი კანონპროექტის კრიტიკულ ანალიზს, სადაც დეტალურად განვიხილავთ, რატომ ემუქრება ეს კანონები ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, როგორ მზლუდავს მოქალაქეების უფლებებს და რა საფრთხეს უქმნის სამოქალაქო სივრცეს...“.

გარდა ამისა, საქმის ფაქტობრივ გარემოებებში მიეთითა ინფორმაცია ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ დირექტორის, მიზნებისა და ამოცანების, და ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის (სახელწოდებით - „სასამართლო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მრავალმხრივი ქმედებით ფასილიტაცია“) შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 17 ივნისის ბრძანებით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹⁵ მუხლზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლზე და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6¹ მუხლზე მითითებით, ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და განისაზღვრა:

- „2. საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებისგან: სს „პეიჯ ჯორჯია“, სს „ჰემ“, სს „პეისერა ბანკი საქართველო“, სს „კრედო ბანკი“, სს „იმ ბანკი საქართველო“, სს „პაშა ბანკი საქართველო“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ტერა ბანკი“, სს „სილქ ბანკი“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ზირაათ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი ქართუ“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ბაზისბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ - გამოთხოვილ იქნეს ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (ს/ნ.: 404432565) მიერ, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, განხორციელებული ტრანზაქციების ამსახველი ინფორმაცია;
- 3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისგან გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (ს/ნ.: 404432565) მიერ გამოწერილი და მიღებული ელექტრონული სასაქონლო მენადავებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ;
- 4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისგან გამოთხოვილ იქნეს, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (ს/ნ.: 404432565) მიერ გადახდის წყაროსთან დაკავებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია;
- 5. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტთან, უცხო ქვეყნის მთავრობასთან ან მის წარმომადგენლობასთან, უცხოეთში ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, დადებული ან/და მოქმედი ყველა, მათ შორის, საგრანტო ხელშეკრულება/შეთანხმება (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების/დამატების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია);
- 6. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტთან, უცხო ქვეყნის მთავრობასთან ან მის წარმომადგენლობასთან, უცხოეთში ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, დადებული ან/და მოქმედი ყველა, მათ შორის, საგრანტო ხელშეკრულების, შეთანხმების (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების/დამატების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაციის) ფარგლებში და მიზნებისთვის დადებული ან/და მოქმედი ნებისმიერი ხელშეკრულება/შეთანხმება (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების/დამატების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია);
- 7. ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტთან, უცხო ქვეყნის მთავრობასთან ან მის წარმომადგენლობასთან, უცხოეთში ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში, დადებულ ან/და მოქმედ ყველა, მათ შორის, საგრანტო ხელშეკრულებასთან, შეთანხმებასთან, აგრეთვე, აღნიშნული ხელშეკრულებების/შეთანხმების ფარგლებში და მიზნებისთვის დადებულ ან/და მოქმედ ყველა ხელშეკრულებასთან, შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაცია, მათ შორის:

- 7.1. ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებული სამუშაო გეგმა, თანხების გაცემის გრაფიკი, საგრანტო ბიუჯეტის დეტალური პროექტი და მის ფარგლებში დადებული ან/და მოქმედი ხელშეკრულებები;
- 7.2. ინფორმაცია ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში მიღებული ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების (გარდა ფულისა) შესახებ გამცემი პირის, თარიღის, დანიშნულების, მიზნობრიობის, ოდენობისა და მატერიალური ფასეულობის მითითებით;
- 7.3. ხელშეკრულების/შეთანხმების შესრულების შუალედური და საბოლოო თხრობითი (ნარატიული) ანგარიში;
- 7.4. შუალედური და საბოლოო ფინანსური ანგარიში ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში შესრულებული გადახდების ან/და განკარგული მატერიალური ფასეულობების (გარდა ფულისა) შესახებ, დამონშეებული გრანტის მიმღების პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი დამხმარე დოკუმენტები (მათ შორის, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო დავალებები, ხარჯთაღრიცხვის ცნობები, ხელფასის უწყისები);
- 7.5. ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის აღწერილობის, მიზნის, განხორციელების ადგილის, დროის, ბენეფიციარების, მონაწილე პირების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მიღწეული შედეგებისა და აქტივობის ამსახველი ვიდეო-ფოტო მასალის მითითებით;
- 7.6. ხელშეკრულების/შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის აღწერილობის, მიზნის, განხორციელების თარიღის, ადგილის, დროის, ბენეფიციარების, მონაწილე პირების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მიღწეული შედეგების მითითებით;
- 7.7. ინფორმაცია იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომელთა საქმიანობა ან/და მომსახურება გამომდინარეობს ხელშეკრულების/შეთანხმების მიზნებიდან (გარდა საქმისწარმოების/საორგანიზაციო და მასთან დაკავშირებული მსგავსი საქმიანობისა), სახელის, გვარის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართისა და საქმიანობის/მომსახურების შესახებ.
- 8. ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის შესაბამისი კორესპონდენციისა და მასთან დაკავშირებული მიმონერის ამსახველი ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება კორესპონდენციის სახით (მათ შორის, მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების/დამატების ამსახველი დოკუმენტაცია);
- 9. ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის, შეთანხმების დაწყებისა და დასრულების თარიღი, შეთანხმების აღწერა, მასში შეტანილი ცვლილების/დამატების აღწერა, შეთანხმების ღირებულება, განეული ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის შეთანხმება არ გამომდინარეობს არც ხელშეკრულებიდან ან/და სხვაგვარი წერილობითი შეთანხმებიდან და არც მხარეთა შორის არსებული კორესპონდენციიდან/მიმონერიდან;
- 10. ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან“ (ს/ნ.: 404432565) გამოთხოვილ იქნეს ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ სოციალური ქსელების მისამართები და მასთან დაკავშირებული, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდის ხარჯების შესახებ ინფორმაცია.“

როგორც აღინიშნა, მედიით გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, 23 ივნისის მდგომარეობით, საქალაქო სასამართლომ მსგავსი შუამდგომლობები დააკმაყოფილა კიდევ, სულ მცირე, ექვს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიმართებით.

2. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებისთვის რელევანტური ძირითადი უფლებები და სამართლებრივი სტანდარტები

2.1. გაერთიანების თავისუფლება და მასში ჩარევის ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გაერთიანების თავისუფლება^[3] უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად.^[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მას დიდი დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტირების, არამედ თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით.^[5] ძლიერი დემოკრატია სწორედ მრავალფეროვანი დემოკრატიული ინსტიტუციების არსებობას ეფუძნება, რომელთა შორისაა არასამთავრობო ორგანიზაციები.^[6]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლებით დაცულია არა მხოლოდ გაერთიანების შექმნისა და გაერთიანებაში განვვიანების პროცესი, არამედ მის არსებობასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მხარე.^[7] გაერთიანების არსებობის რომელიმე ეტაპზე კონსტიტუციური დაცვის გაუზრცელებლობა, სასამართლოს პოზიციით, დაუშვებლად გაზრდიდა სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში თვითნებური ჩარევის რისკს და არაეფექტურს გახდიდა უფლების კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვას.^[8] აღნიშნულის გათვალისწინებით, გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევას, შესაძლოა, ბევრნაირი ფორმა ჰქონდეს, როგორცაა, მაგალითად, იმგვარი შემონშეების ჩატარება, რასაც ორგანიზაციის აქტივობების შეფერხების ეფექტი აქვს, სანქციების დაკისრება, გაერთიანებების აღსაწერად შეურაცხყოფელი ტერმინების გამოყენება და უცხოური დაფინანსების მიღების აკრძალვა.^[9] ისეთ შემონშეებში, რომლებიც უფლებაში ჩარევას იწვევს, მოიაზრება მძიმე და რთულად შესასრულებელი მოთხოვნები, რომლის ფარგლებშიც, ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლო ამონებს ორგანიზაციისგან გამოთხოვილი ინფორმაციის მასშტაბს.
[10]

მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაერთიანების თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გაერთიანების მიზნებისა და აქტივობების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება დასაშვებია, თუმცა ხელისუფლების უფლებამოსილება, დაიცვას მოქალაქეები და ინსტიტუტები მათთვის საფრთხის შემცველი გაერთიანებებისგან, უნდა განიმარტებოდეს ვინაობა და გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევებში.^[11] იმისთვის, რომ გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა გამართლებულად ჩაითვალოს, დაკმაყოფილებული უნდა იყოს სამი წინაპირობა: მზლუდავი ღონისძიება გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენდეს აუცილებელ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში.^[12]

დათქმა, რომ ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, მოითხოვს, სადავო შემლუდვა გამომდინარეობდეს ეროვნული კანონმდებლობიდან. ამასთან, ასეთი საკანონმდებლო საფუძველი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ ხარისხობრივ მოთხოვნებს - ერთი მხრივ, ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს კონკრეტულ სიტუაციაში მის მიმართ გამოსაყენებელი კანონი, ამასთან, ის საკმარისი სიცხადით უნდა იყოს ფორმულირებული, რათა პირს მისცეს შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში, განჭვრიტოს კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი.^[13] ერთიანობაში, კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს სამართლებრივი დაცვის მექანიზმს ხელისუფლების მხრიდან უფლებაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ.^[14]

სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შესახებ ვრცელი ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლომ „კოორდინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹⁵ მუხლზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლზე და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6¹ მუხლზე მითითებით დააკმაყოფილა. რამდენადაც ამგვარი მოთხოვნები და მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სანქციები თავისთავად უტოლდება გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევას, კარგი პრაქტიკის დადგენის მიზნით, მნიშვნელოვანი იქნება, სააპელაციო სასამართლომ, მსგავს შემთხვევებში, შეფასება მისცეს, რამდენად ითვალისწინებს თითოეული ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმა მოთხოვნილ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას. მსგავსი შეფასების ფარგლებში, პასუხი უნდა გაეცეს, რამდენად ფარავს დასახელებული კანონების მოქმედების სფერო არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებადაცვით საქმიანობას როგორც მინაარსობრივად, ასევე დროში, მათი მიღების თარიღის გათვალისწინებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უფლების შემლუდვის მართლზომიერად მიჩნევის მიზნით ფასდება, არის ის, თუ რამდენად აუცილებელია მსგავსი ზომის გამოყენება დემოკრატიულ საზოგადოებაში. აუცილებლობის ცნება დაკავშირებულია „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებასთან“, რაც მიაჩნდება, რომ მას არ აქვს იმგვარი მოქნილობა, როგორიც დამახასიათებელია სიტყვებისთვის - „გამოსადეგი“ და „სასურველი“.^[15]

აუცილებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილების საჭიროებას პირდაპირ ეხმიანება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის თანახმად, ანტიკოორდინაციული ბიუროს მიმართვა სასამართლოსადმი ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველი და მიზანი, გამოსათხოვი ინფორმაციის პერიოდი და მოცულობა.^[16] შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში, მათ შორის, უნდა შემოწმდეს, რამდენად პროპორციული და ადეკვატურია მოთხოვნილი ინფორმაციის მასშტაბი მასზე წვდომის მიზანთან.

2.2. საერთაშორისო სტანდარტები უფლებადამცველთა საქმიანობის დაცვის შესახებ

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, უფლებადამცველს წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანი, პროფესიული თუ სხვაგვარი სტატუსის მიუხედავად, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით, მოქმედებს ადამიანის უფლებების დაცვის, რეალიზებისა და ხელშეწყობისთვის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე და აღიარებს ადამიანის უფლებათა უნივერსალურობას განუზიარებლად ყველასთვის.^[17]

უფლებადამცველთა ყველაზე კლასიკურ მაგალითს ის პირები წარმოადგენენ, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვას და მხარდაჭერას გულისხმობს.^[18] ასეთები არიან არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულები, რომლებიც უშუალოდ იცავენ ადამიანის უფლებებს, ასევე მუშაობენ დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე აისახება.^[19]

უფლებადამცველების უფლებებს ჩამოთვლის უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაცია. მათ შორის, დეკლარაცია მათ ანიჭებს შესაძლებლობას, დაიცვან ადამიანის უფლებები და ხელი შეუწყონ მათ რეალიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; თავისუფლად გაავრცელონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული შეხედულებები, ინფორმაცია და ცოდნა; საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, გააკრიტიკონ სახელმწიფო უწყებები და მიმართონ მათ შესაბამისი წინადადებებით, ასევე ყურადღება მიაპყრონ მათი საქმიანობის იმ ასპექტებზე, რომლებიც ხელს უშლის ადამიანის უფლებების მხარდაჭერას, დაცვას და რეალიზაციას; მოიძიონ და გამოიყენონ რესურსები ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით და სხვ.^[20] მართალია, აღნიშნულ დოკუმენტს არ გააჩნია სამართლებრივად მბოჭავი ბუნება, თუმცა მასში ასახული დებულებები სავალდებულოდ შესასრულებელ საერთაშორისო ინსტრუმენტებს (როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და

პოლიტიკური უფლებების შესახებ“) ეფუძნება.[21] ამასთან, აღსანიშნავია, რომ დეკლარაცია მიღებულ იქნა ერთხმად, რაც სახელმწიფოების მხრიდან მისი იმპლემენტაციის ძალიან მაღალ მზაობას მონიშნავს.[22]

ამდენად, არასამთავრობოების მიერ გავრცელებული ნებისმიერი შინაარსის მოსაზრებები თუ ინფორმაცია, რომელიც აკრიტიკებს ხელისუფლების პოლიტიკას, პრაქტიკებს, მის მიერ მიღებულ კანონებს, კანონპროექტებს და საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებსაც აქვთ გავლენა ადამიანის უფლებებზე, წარმოადგენს სტანდარტულ უფლებადაცვით საქმიანობას, რომელიც სარგებლობს მომეტებული დაცვლით.

ნიშანდობლივია, რომ მსგავსი საკითხების შესახებ გავრცელებული ცნობები საჯარო ინტერესის სფეროში ექცევა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთი ინტერესი უკავშირდება მოვლენებს, რომლებსაც იმგვარი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, რომ ლეგიტიმურად აღძრავენ მის ინტერესს, იპყრობენ მის ყურადღებას ან/და ზემოქმედებენ მოსახლეობის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.[23] გარდა ამისა, მსგავს საკითხებს განეკუთვნება თემები, რაც წარმოშობს სერიოზულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებებს, შეეხება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს, ან ისეთ პრობლემას, რომლის შესახებაც საზოგადოება ისურვებდა ინფორმირებულობას.[24] საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების შესახებ (ე.წ. „SLAPPs“) ევროკავშირის 2024/1069 დირექტივა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებს პირდაპირ მიაკუთვნებს, მათ შორის, ადამიანის უფლებებს, კორუფციის ან სხვაგვარი კანონდარღვევების/დანაშაულების შესახებ წაყენებულ ბრალდებებს და ქმედებებს, რაც აზიანებს დემოკრატიულ პროცესებს და სამართლის უზენაესობას.[25]

თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც საზედამხედველო ფუნქციის (ე.წ. „watchdog“ ფუნქცია) განმახორციელებელი პირების, საქმიანობის სასიცოცხლო მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც ისინი საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და იდეებს ავრცელებენ და ამდენად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამ საკითხებზე ინფორმირებული დებატების წარმართვაში.[26] ამგვარი ფუნქციის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია არასამთავრობო ორგანიზაციებს დაცვლობის მაღალ ხარისხს ანიჭებს და სახელმწიფოს მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის მეტად მცირე სივრცეს უტოვებს.[27]

სახელმწიფოებს უფლებადამცველების საქმიანობის ხელშესაწყობად, განსაკუთრებული სახის ვალდებულებებს უწესებენ გაერო,[28] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR),[29] ევროპის საბჭო[30] და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მათ შორის, საყურადღებოა, რომ გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება დეკლარაციაში ასახული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისთვის.[31] ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო („enabling environment“), რომელშიც უფლებადამცველებს ექნებათ დაუცველობისა და დაბრკოლებებისგან თავისუფალი მოქმედების საშუალება.[32] ხსენებული გარემო მოითხოვს არა მხოლოდ უფლებადამცველების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვას, არამედ აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელი სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას.[33]

როგორც სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ანტიკორუფციული ბიუროს 2025 წლის 17 ივნისის შუამდგომლობით იკვეთება, უწყება არასამთავრობო ორგანიზაციის და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ითხოვდა ამ ორგანიზაციის მიერ ხელისუფლებისა და ცალკეული კანონების მიმართ კრიტიკული მოსაზრებების გავრცელების საპასუხოდ. შესაბამისად, მსგავსი საქმეების განხილვისას, პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განმარტებისათვის, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს, რამდენად წარმოადგენს ამგვარი მოსაზრებების გავრცელება უფლებრივი სტანდარტით დაცულ უფლებადაცვით საქმიანობას და მათ საპასუხოდ მიღებული საზედამხედველო თუ სხვაგვარი ზომები ხომ არ წარმოშობს ანგარიშსწორების, ხელშეშლის ან დამინების საფრთხეებს ლეგიტიმური საქმიანობის გამო.

ამ კუთხით, განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ანტიკორუფციული ბიურო არასამთავრობო ორგანიზაციის სადავო განცხადებებს, სავარაუდოდ (მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით), უკავშირებს მისი მხრიდან „განცხადებული საარჩევნო მიზნის“ ქონას. თავის მხრივ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განცხადებულ საარჩევნო მიზანს ისეთ ფაქტობრივ გარემოებად განმარტავს, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი.[34] ამ მიზნის დადასტურების შემთხვევაში და როდესაც მის მისაღწევად პირი შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსს იყენებს, მასზე სპეციალური შეზღუდვები და საზედამხედველო რეჟიმი ვრცელდება.[35]

ამდენად, როდესაც ანტიკორუფციული ბიურო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ითხოვს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ, მნიშვნელოვანია, სასამართლომ, საუკეთესო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები, რასაც უწყების შუამდგომლობები ეფუძნება. მსგავსი ტიპის საქმეებში, საჭირო იქნება, შეფასდეს ბიუროს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება არის თუ არა გადამეტებული პასუხი ადრესატი ორგანიზაციის კლასიკურ უფლებადაცვით საქმიანობაზე - რომელიც უკავშირდება არა პირად პოლიტიკურ მოტივებს, არამედ ადამიანის უფლებების დაცვას, რეალიზებასა და მხარდაჭერას, რაც, ხშირ შემთხვევაში, გარდაუვლად ხორციელდება პოლიტიკური შინაარსის გამოხატვის გზით.

გარდა ამისა, ჩარევის „აუცილებლობის“ კრიტერიუმზე მსჯელობისას, აუცილებელია, შეფასდეს, ხომ არ წარმოშობს მოთხოვნილ მონაცემებზე ანტიკორუფციული ბიუროს დაშვება სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნების რისკებს, რის გამოც მოქალაქეებმა, შესაძლოა, უარი თქვან მომავალში არასამთავრობო

ორგანიზაციისგან უფასო იურიდიული თუ სხვაგვარი მხარდაჭერის მიღებაზე. ამავდროულად, საყურადღებოა, თითოეულ შემთხვევაში, ხომ არ უქმნის იგი პოტენციურად გაუმართლებელ საფრთხეს პროფესიული საიდუმლოების დაცვას, რაც ორგანიზაციაში დასაქმებულ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს და განსაკუთრებული დაცულობით სარგებლობს.^[36]

2.3. ბენეფიციართა დაცვის სამართლებრივი გარანტიები

2.3.1. არასრულწლოვან ბენეფიციართა დაცვა

ეროვნული კანონმდებლობის, ბავშვის უფლებათა კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას ან/და გადანაცვების მიღებისას, რომელიც ეხება ბავშვს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო სამართლის სუბიექტი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო - ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული.^[37] ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრული დაცვა კი გულისხმობს მულტისექტორული თანამშრომლობით, უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის ფსიქოლოგიური, მორალური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და იცავს მის ღირსებას.^[38] აღნიშნული გულისხმობს, ბავშვების, როგორც უფლების მატარებელი სუბიექტების პატივისცემასა და მათი პირადი ცხოვრების დაცვას.^[39] რაც აუცილებელია ბავშვების თვითგამორკვევის, უსაფრთხოებისა და უფლებების სათანადო რეალიზებისთვის.^[40] ბავშვების პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა დამკვიდრებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება არა მხოლოდ გათვალისწინებულია კანონით და ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არამედ ასევე ითვალისწინებს მონაცემთა მინიმალაციის პრინციპს, არის პროპორციული და ამავდროულად, უზრუნველყოფს ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას, ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად.^[41]

ბავშვთან დაკავშირებული გადანაცვების მიღებისას, უნდა შეფასდეს ბავშვის მდგომარეობაზე მისი გავლენის როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შედეგები.^[42] სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა ზომა ძალადობაგანცდილი ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდგომ.^[43] ხოლო, ძალადობაგანცდილი და მონმე ბავშვების პირადი ცხოვრება პრიორიტეტულად უნდა იყოს დაცული. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ბავშვის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის დაცვა ხდება როგორც კონფიდენციალობის უზრუნველყოფით, ასევე ისეთი მონაცემების გამჟღავნების მკაცრი შემოღობვით, რომელიც შესაძლებელს გახდის ძალადობის მსხვერპლი ან მონმე ბავშვის იდენტიფიცირებას.^[44]

ბავშვის უფლებათა ეფექტიანი დაცვისთვის, სახელმწიფოს ვალდებულებაა, ძალადობაგანცდილი, მონმე ბავშვებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო, მხარდაჭერითი და სამართლებრივი დახმარების სერვისებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა, არასამთავრობო და თემზე დაფუძნებული ისეთი მომსახურებების ხელშეწყობა, რომელიც იცავს არასრულწლოვანთა კონფიდენციალობას და არ იწვევს მომსახურების მიმღებ მსხვერპლთა სტიგმატიზაციას.^[45] ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ნებისმიერი ფორმის ძალადობის, მათ შორის, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობისა და უგულვებელყოფის მსხვერპლი ბავშვებისთვის მხარდაჭერითი სერვისის მიწოდებისას, თავად სერვისის მიმწოდებლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მგრძნობიარე მიდგომის გამოყენება და ბავშვების პირადი ცხოვრების უფლების დაცვა.^[46]

აღნიშნულზე მიუთითებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, სადაც ხაზგასმულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ბავშვთან მომუშავე, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო აქტორების მიერ სერვისის მიმღებთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.^[47] კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, მესამე პირებისთვის აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება მხოლოდ თავად სერვისის მიმღების თანხმობის ან/და კანონით მკაცრად დადგენილ შემთხვევებშია შესაძლებელი. ორივე შემთხვევაში კი, წინასწარ, მკაფიოდ განსაზღვრული წესები და კონტროლის მექანიზმები უნდა არსებობდეს.

ამ მხრივ ხაზგასასმელია ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტება, რომლის თანახმადაც, არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა მონაწილეობას ყველა იმ საკითხის გადანაცვებაში, რომელიც მათ ეხებათ.^[48] აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვების დაცვას. ამ პროცესის ყველა ეტაპზე მოსმენილ უნდა იქნეს ბავშვების მოსაზრებები და მათ სათანადო მნიშვნელობა მიენიჭოს.^[49] ხოლო, ბავშვის მოსაზრების გათვალისწინებისა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი შესაძლებლობა, გამოთქვას ინფორმირებული მოსაზრება და ამასთან, აუცილებელია, მისი ინფორმირება, თუ რა პროცესში მონაწილეობს, რა შედეგები შეიძლება აღნიშნულს მოყვას და საბოლოოდ, რა გავლენა მოახდინა მისმა მოსაზრებებმა პროცესის შედეგზე.^[50]

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობისას, რა დროსაც, არსებული სტიგმის გათვალისწინებით, ბავშვებში მაღალია გაკიცხვის შიში ინფორმაციის არათუ მესამე პირებისთვის, არამედ ბავშვთან მომუშავე სპეციალისტისთვის გაზიარების შემთხვევაშიც. აღნიშნული კი, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე დაგვიანებული მიმართვიანობის ან/და შემთხვევების არ გადამისამართების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.^[51]

2.3.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართა დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლებში განიხილება, რაც, თავის მხრივ, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება. შეზღუდული შესაძლებლობა, სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით განიხილება განსაკუთრებული კატეგორიის პირადი მონაცემის ჭრილობიდან, რადგან, შესაძლოა, უკავშირდებოდეს პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მხარდაჭერის საჭიროებას, შრომისუნარიანობის ან ფუნქციონირების ხარისხს, სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების თავისებურებებს (მაგალითად, მხარდაჭერის გზით). პირადი, განსაკუთრებით მგრძნობიარე მონაცემების დაცვის ვალდებულებას ეხება

როგორც გაეროს შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD), ისე სხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები.

გაეროს შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) 22-ე მუხლი აწესრიგებს შშმ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ადგენს, რომ „შემზღუდული შესაძლებლობის მქონე არც ერთი პირი, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა და პირობებისა, არ უნდა განიცდიდეს თვითნებურ ან უკანონო ჩარევას მის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, საცხოვრებელში, კორესპონდენციასა და სხვა სახის კომუნიკაციაში; დაუშვებელია მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. ასეთი სახის ჩარევისა და თავდასხმის შემთხვევაში, შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ იყონ დაცული კანონით“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, „მონაწილე სახელმწიფოებმა სხვათა თანაბრად უნდა დაიცვან შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი, სამედიცინო და სარეაბილიტაციო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობა“. ამ მუხლის მოწესრიგება ადასტურებს, რომ შშმ პირების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, განსაკუთრებით ჯანმრთელობასთან ან შესაძლებლობის შემზღუდვის სტატუსთან დაკავშირებული, ექვემდებარება მკაცრ დაცვას.

ამავე კონვენციის 31-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით მონაცემთა შეგროვების დროს დაცული უნდა იქნას იურიდიულად დადგენილი გარანტიები, მათ შორის, კანონმდებლობა მონაცემთა დაცვის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნას შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა და ხელშეუხებლობა. ასევე, დაცული უნდა იქნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები, მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკის გამოყენების ეთიკური პრინციპები.

შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგად კომენტარში № 1 (2014) ხაზგასმულია არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ, კერძო პირთა მხრიდან შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულება. ამავე კომენტარის მიხედვით, „როდესაც სახელმწიფოები ქმნიან მხარდაჭერის სისტემას შშმ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის, უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდაჭერმა პირებმა სათანადოდ დაიცვან შშმ პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“.[52]

2018 წლის 25 მაისს, ძალაში შევიდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (GDPR).[53] რომლის მიზანია, ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში, ინდივიდთა უფლებების სათანადო დაცვა. რეგულაციის მე-9 მუხლი აწესრიგებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს, რომელიც, სხვა მონაცემთა შორის, მიემართება ფიზიკური პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასაც. რეგულაციის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი არის ნებისმიერი იმგვარი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მათ შორის, ჩატარებულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც ავლენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, „შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხს. ამავე კანონის მე-4 მუხლით, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, უფლებამოსილია დაამუშაოს შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური მონაცემები და, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემები გადასცეს სხვა პირს/ორგანიზაციას შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შესაბამისი სარგებლის მისაღებად.

თავის მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემად მიიჩნევა „[...] მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების განევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.“[54]

გამომდინარე იქიდან, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად ითვლება, შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, გასათვალისწინებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის“ მე-6 მუხლით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს ამავე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფუძველი. საფუძველებს შორისაა, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონი ადგენს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას. [55]

2.3.3. ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა დაცვა

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) მე-9 მუხლის მიხედვით, მხარეები აღიარებენ, ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ ყველა დონეზე იმ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას და ქმედით თანამშრომლობას ამყარებენ ამ ორგანიზაციებთან.

დამატებით, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, მე-9 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს აქტიურ ხელშეწყობასაც ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რაც მათთვის მაქსიმალურად ეფექტიანი მუშაობის საშუალების მიცემას გულისხმობს.^[56]

ამავე კონვენციის 56-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი უთითებს, რომ მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის, მათი როგორც მოწმეების განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე, კერძოდ კი იმის უზრუნველყოფით, რომ შეიძლება მიღებულ იქნა ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის დასაცავად.

მუხლის მიზნებისთვის განმარტებულია, რომ „ვ“ პუნქტში ასახული ვალდებულება გულისხმობს შესაბამისი ზომების გატარებას მსხვერპლის პირადი ცხოვრებისა და რეპუტაციის დასაცავად. ეს მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი ინფორმაციის საჯარო გავრცელება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლთა იდენტიფიცირება.^[57]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი იცავს მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას და მითითებულია, რომ მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

2.4. სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. SLAPPs – Strategic Lawsuits Against Public Participation)

გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების სათანადოდ შესაფასებლად, სახალხო დამცველი დამატებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სასამართლოს მიანოღოს ინფორმაცია საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების უარყოფითი პრაქტიკის შესახებ.

კერძოდ, მიუხედავად გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტისა, ბოლო პერიოდში, ევროპაში, საგრძნობლად გაიზარდა გავლენიანი პირების მხრიდან ერთი შეხედვით ლეგიტიმური, თუმცა გადაჭარბებული ან/და უსაფუძვლო სარჩელების წარდგენის ტენდენცია, რომლებიც კრიტიკის ცენზურის ქვეშ მოქცევას და მის ჩახშობას ემსახურება.^[58] მსგავსი პრაქტიკა ცნობილია, როგორც სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. SLAPPs – Strategic Lawsuits Against Public Participation) და ძირითადად, მიმართულია უფრო სუსტი მხარის - ჟურნალისტების და სხვა უფლებადამცველების, შესაბამისად, საზემადმცველო ფუნქციის (ე.წ. “watchdog” ფუნქცია) განმახორციელებლებისკენ, რომლებიც ღიად აფიქსირებენ კრიტიკულ პოზიციებს პოლიტიკურ და სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.^[59]

ამგვარი სამართალწარმოება უმეტესწილად შენიღბულია ცილისწამებასთან დაკავშირებული მოთხოვნებით, თუმცა ისინი აგრეთვე თავს იჩენს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კონტექსტშიც.^[60] მაშინ კი, როდესაც მოსალოდნელი სანქციები ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ხასიათისაა, ისინი განსაკუთრებით მზლუდავ ხასიათს ატარებენ და აქვთ კიდევ უფრო მძიმე ეფექტი.^[61] აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2024 წელს მიღებულ რეკომენდაციაში, ე.წ. “SLAPP“-ები ფართოდ განიშარტა და მოიცვა ნებისმიერი სამართლებრივი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს მათი სამიზნის შევიწროვებას ან დაშინებას და რომელიც ცდილობს, ხელი შეუშალოს, შეაფერხოს, შეზღუდოს ან დასაჯოს როგორც თავისუფალი გამოხატვა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე, ასევე საზოგადოებრივ ჩართულობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება.^[62]

ამ რეკომენდაციის მიზანია, დაფაროს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ხასიათის პროცესები, რათა ეფექტიანად შეუწყოს ხელი წევრ სახელმწიფოებში კონვენციით ნაკისრი ფართო ვალდებულების შესრულებას, უზრუნველყონ უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემო საჯარო დებატებში მონაწილეობისთვის, რაც პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოების არსებითი მახასიათებელია და ემყარება სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. რამდენადაც სახელმწიფოებისთვის ერთ-ერთი გამოწვევა მსგავსი სამართალწარმოების იდენტიფიცირება და მათ წინააღმდეგ შესაბამისი დამცავი მექანიზმების შექმნაა, რეკომენდაცია აზუსტებს ძირითად ტერმინებს და განერს იმ მახასიათებლებს, რაც “SLAPP“-ების შემთხვევაში ვლინდება.

მაგალითად, საზოგადოებრივი ჩართულობა განიშარტება, როგორც ყველას დემოკრატიული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ონლაინ და ოფლაინ, მიმისა და დისკრიმინაციის გარეშე. ეს, მათ შორის, მოიცავს ისეთი აზრისა და იდეების გამოხატვის შესაძლებლობას, რომელიც ეწინააღმდეგება ან აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ ნარატივს. ამგვარად, საზოგადოებრივი ჩართულობა ქმედებების ფართო სპექტრს ფარავს და მოიაზრებს ადვოკატირებას, მშვიდობიანი პროტესტის ფორმებს, საერთაშორისო და რეგიონულ მექანიზმებთან თანამშრომლობას, უფლებადარღვევების და კორუფციის წინააღმდეგ საუბარს და სხვ. რაც შეეხება “SLAPP“-ების ინდიკატორებს, რეკომენდაცია 10 ასეთი ელემენტისგან შემდგარ არასრულ სიას განსაზღვრავს, რომელთა შორის, ზოგიერთი განსაკუთრებით საყურადღებოა წინამდებარე მოსაზრების მიზნებისთვის. პირველ რიგში, ამ საქმეებისთვის დამახასიათებელია მხარეთა შორის უთანასწორობა, რაც გამოიხატება ძალაუფლებრივი ბალანსის ნაკლებობაში - ამას განაპირობებს პროცესის ინიციატორის ფინანსური უპირატესობა ან პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი გავლენები. გარდა ამისა, პროცესის ინიციატორის მიერ გამოყენებული არგუმენტები არის ნაწილობრივ ან სრულად უსაფუძვლო, ხოლო მოთხოვნები - არაპროპორციული, გადამეტებული და არაგონივრული. სამართალწარმოებისთვის

დამახასიათებელია აგრეთვე თანადროული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო დისკუსიებში მონაწილე პირების დამინებას, დისკრედიტაციას ან შევიწროვებას, ან ემსახურება ძირითადი საკითხიდან ყურადღების გადართვას.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო სტრუქტურული და პროცედურული გარანტიების შექმნა, რათა მოახდინონ “SLAPP”-ების პრევენცია და მათ მიერ გამოწვეული ზიანის შეძცივება. მათ შორის, ერთ-ერთი მსგავს ზომად მოაზრებულია სასამართლოების მიერ მსგავსი სამართალწარმოების შეწყვეტა საკუთარი ინიციატივით.

საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების პრობლემა უკვე ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც. კერძოდ, 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე *ООО Memo v. Russia*, სასამართლომ მითითება გააკეთა ხსენებულ ცნებაზე, მხედველობაში მიიღო საზოგადოებრივი ჩართულობის შეზღუდვისკენ მიმართული სამართალწარმოების რისკები დემოკრატიისთვის, ისევე როგორც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული ძალაუფლებრივი დისბალანსი და მნიშვნელოვნად მიიჩნია, შეეფასებინა, ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მედია კომპანიის წინააღმდეგ წარმოებული ცილისწამების საქმე.^[63]

განსახილველი პრობლემის პრევენცია აქტუალურია აგრეთვე ევროკავშირისთვის, რომლის ფარგლებშიც, გასულ წელს ასევე მიღებულ იქნა 2024/1069 დირექტივა “SLAPP”-ების წინააღმდეგ.^[64] დირექტივა ხაზს უსვამს ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვის აუცილებლობას საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოებისგან, რომელთა მიზანიც საჯარო დებატების ჩახშობა და კანონმდებლობის დარღვევების შესწავლისა და ანგარიშგების ხელშეშლაა, რაც, როგორც წესი, ხორციელდება შევიწროვებისა და დამინების გზით.^[65] დირექტივის ამოცანაა, სასამართლოებს მისცეს შესაძლებლობა, სათანადოდ გაუმკლავდნენ მსგავსი ბოროტი განზრახვით წამოწყებულ დავებს და მოახდინოს პოტენციური მოსარჩელების დემოტივაცია. მართალია, დირექტივა სამოქალაქო დავებზე ვრცელდება, თუმცა მასში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული პრაქტიკები მოიცავს აგრეთვე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს.^[66]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლომ უფლებადამცველი ორგანიზაციებისგან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობების განხილვისას, სათანადო შეფასება მისცეს, ხომ არ არის სახეზე “SLAPP”-ებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი.

3. დასკვნა:

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ანტიკორუფციული ბიუროს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების და ინფორმაციაზე დაშვების საკითხების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე მომართვაში ასახული პრინციპები. ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) ზოგადი მოსაზრებით.

პატივისცემით,

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2.

[2] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/411hyJv > [25.06.2025].

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 22.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის № 2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე *მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II.2.

[5] იქვე.

[6] ეუთო, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, 1990, პარაგრაფი 26.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის № 2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე *მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II.8.

[8] იქვე.

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ecodefence and Others v. Russia*, პარ. 81.

[10] იქვე, პარ. 83.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ecodefence and Others v. Russia*, პარ. 123.

[12] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11, ნაწილი 2.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *N.F. v. Italy*, პარ. 26.

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ecodefence and Others v. Russia*, პარ. 90.

[15] იქვე, პარ. 123.

[16] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34¹, ნაწილი 4.

[17] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3mErlpW> > [30.06.2025]; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ.2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2XaBO3e> > [30.06.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი №29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2UIDIq2> > [30.06.2025]; ევროკავშირის სახელმძღვანელო უფლებადამცველების შესახებ, პარ. 3, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3c64xKX> > [30.06.2025]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო“, 2020, გვ. 4-5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2KvP4LI> > [30.06.2025].

[18] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (OHCHR), საინფორმაციო ბიულეტენი № 29 უფლებადამცველების თაობაზე, აპრილი 2004, გვ.6.

[19] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო“, 2020, გვ. 5.

[20] იხ. გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 1, მუხლი 6, მუხლი 8 და მუხლი 13.

[21] დეკლარაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის (OHCHR) ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3aFQuht> > [30.06.2025].

[22] იქვე.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 171.

[24] იქვე.

[25] ევროპარლამენტის და საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის 2024/1069 დირექტივა აშკარად უსაფუძვლო სარჩელების ან ბოროტი განზრახვით ნაშთიწვეული სასამართლო დავებისგან საზოგადოებრივ ჩართულობაში მონაწილე პირების დაცვის შესახებ („სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ“), მუხლი 4, ნაწილი 2.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Animal Defenders International v. The United Kingdom*, პარ.102-105; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, პარ. 166.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Animal Defenders International v. The United Kingdom*, პარ.102-105.

[28] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ.

[29] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014.

[30] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის №2225 რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უფლებადამცველების დაცვის შესახებ.

[31] გაეროს 1998 წლის დეკლარაცია უფლებადამცველების შესახებ, მუხლი 2.1.

[32] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 12 აპრილი 2013, A/HRC/RES/22/6, პარ. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2xPApV6> > [30.06.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მოხსენება, 23 დეკემბერი 2013, A/HRC/25/55, პარ. 54-61, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://undocs.org/A/HRC/25/55> > [30.06.2025].

[33] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), სახელმძღვანელო პრინციპები უფლებადამცველების დაცვის შესახებ, 2014, პარ. 24.

[34] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7¹.

[35] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 1.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Michaud v. France*, პარ. 117-19; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Altay v. Turkey (No. 2)*, პარ. 52; იხ. ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

[37] გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 3(1); საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 2019, მუხლი 5

[38] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 14 ბავშვის უფლებაზე, უპირველესად იყოს გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები, 2019, პარ. 5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/yb9KE> > [15.07.2025].

[39] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 13 ბავშვის ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის შესახებ, 2011, პარ. 3, ხელმისაწვდომია ბმულზე: < <https://shorturl.at/by3mY> > [15.07.2025].

[40] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 25 ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ, 2021, პარ. 67, ხელმისაწვდომია ბმულზე: < <https://shorturl.at/xxaiv> > [15.07.2025].

[41] იქვე, პარ. 69.

[42] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 14 ბავშვის უფლებაზე, უპირველესად იყოს გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები, 2019, პარ. 84.

[43] გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისა და მოწმეების საკითხებში მართლმსაჯულების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, 2005, №2005/20, პარ. 32, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/uokNB> > [15.07.2025].

[44] იქვე, პარ. 27.

[45] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, სახელმძღვანელო პროფესიონალებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის მართლმსაჯულების საკითხებზე მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებით, 2009, გვ. 56, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/w4CoN> > [15.07.2025].

[46] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ჯანდაცვის სექტორის სახელმძღვანელო ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების შესახებ, 2019, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://tinyurl.com/58mhzypr> > [15.07.2025].

[47] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2023)2 წევრი სახელმწიფოებისთვის დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მომსახურებისა და მხარდაჭერის შესახებ, 2023, პარ. 22, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://rb.gy/4x00ko> > [15.07.2025].

[48] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 12 ბავშვის უფლებებზე, იყოს მოსმენილი, 2011, პარ. 26, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://tinyurl.com/3jkue695> > [15.07.2025].

[49] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 13 ბავშვის ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის შესახებ, 2011, პარ. 52, 63, ხელმისაწვდომია ბმულზე: < <https://shorturl.at/by3mY> > [15.07.2025].

[50] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 12 ბავშვის უფლებებზე, იყოს მოსმენილი, 2011, პარ. 28, 33, 45, < <https://tinyurl.com/3jkue695> > [15.07.2025].

[51] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2021, სპეციალური ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/sU14Y> > [08.07.2025].

[52] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი - სამართლის სუბიექტად აღიარების თაობაზე (მუხლი 12), პარ. 47, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/Bx4Ko> > [15.07.2025].

[53] ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/29XJn> > [15.07.2025].

[54] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

[55] იქვე, მუხლი 31.

[56] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, 2011, პარ. 69, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://shorturl.at/Sa0Ne> > [15.07.2025].

[57] კონვენციის ავტორებს სურდათ, ხაზი გაესვათ, რომ დაზარალებულის რეპუტაციისა და კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება „საჯაროდ“ გამჟღავნების საფრთხეზე და არ ზღუდავს ამ ინფორმაციის სამართალწარმოების კონტექსტში გამჟღავნების უფლებას, რათა დაცული იყოს პრინციპები, რომელთა შესაბამისადაც ორივე მხარეს აქვს სასამართლოში მოსმენის უფლება, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში დაცვის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება, იქვე პარ. 289.

[58] იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის 2020 წლის 27 ოქტომბრის კომენტარი „SLAPP“-ებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3Id7uKH> > [30.06.2025].

[59] Protecting Public Watchdogs Across the EU: a Proposal for an EU Anti-Slapp Law, pp. 7-8, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3R1t0WS> > [30.06.2025]; Petra Bárd, Judit Bayer, Ngo Chun Luk and Lina Vosyliute, SLAPP in the EU context, p. 4, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3yBBTiN> > [30.06.2025].

[60] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2024 წლის 5 აპრილის რეკომენდაცია CM/Rec(2024)2 საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების („SLAPPs“) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *ООО Memo v. Russia*, პარ. 43.

[64] ევროპარლამენტის და საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის 2024/1069 დირექტივა აშკარად უსაფუძვლო სარჩელების ან ბოროტი განზრახვით წამოწყებული სასამართლო დავებისგან საზოგადოებრივ ჩართულობაში მონაწილე პირების დაცვის შესახებ („სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ“).

[65] იქვე, პარ. 14.

[66] იქვე, პარ. 17.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად



ლევან იოსელიანი